ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1045 შაბათი, 16 ნოემბერი 1913 წ. № 045

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღევანდელი ნომერი შეიცავს 20 გვერდს, რომელშიაც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის განცხადება მოთავსებული.

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

მარიამ ივანეს ასული, ნიკოლოზ ესტატეს ძე, თამარა აგაბეკოვის ასული, გერასიმ და სამსონ ივანეს ძენი წვერავები, ოლგა ესტატეს ასული და მთავარ დიაკონი ტიმოთე გიორგის ძე ბაკურაძეები ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 ნოემბერს გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი მეუღლე, მეორესი მამა, მესამესი—მამამთილი, მეოთხე და მეხუთესი—ძმა და უკანასკნელისა სიმამრი

ესტატე ივანეს ძე წვერავა.

გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ნავთლუღი, რეიტერის ქუჩა, საკუთარი სახლი № 11, ზევითა წმ. ბარბარეს ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. 807

სამსონ და გერასიმ ივანეს ძენი წვერავანი მეუღლითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი ძმისა და მეორენი მაზლისა

ესტატე ივანეს ძე წვერავასი.

გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ნავთლუღი, რეიტერის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11, ზევითა წმიდა ბარბარის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. 808

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა 22—8.

კვირას, 17 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ნინო ჩხეიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

ურიელ აკოსტა,

დრამა 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ბარველი, ვომელაური, გუნია, თარალაშვილი, იმედაშვილი, სარაული, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი. ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დიდებული არტისტი“, „ჰამლეტი“, „სინათლე“ და სხვ. 1576

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განა ახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საჭულებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ჭიჭინაძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ვ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12 **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ზ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორომბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი ხაფასურით. წ. 1466

ტელეფონი № 795 ქართული თეატრი წარმოდგ. № 21—8

დილით, კვირას, 17 ნოემბერს, 1913 წ. ქართულ დამატ. საზ. დასის მიერ გაიმართება **საბავშვო წარმოდგენა.** წარმოდგენილი იქნება **მეორედ**

პრინცი მელორე

პიესა 4 მოქმ. ანდერსენის ზღაპრიდან გადმოკეთებული თარგმ. მ. ქორელისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, თოიძე, მდივანი, პიერეტი, სალარაძე, ქქოძე, შოთაძე, **ჯავახიშვილი,** ბ-ნნი: ბარველი, გომელაური, იმედაშვილი, სარაული, ურუშაძე, კორიძე, ხონელი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი. **დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.**

ადგილების ფასი დაკლებულია. რეჟისორი **მ. ქორელი.**

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დიდებული არტისტი“, „ეროს და ფსიქეა“, „ჰამლეტი“, „სინათლე“ და სხ. ადმინისტრაცია ქართ დრ. საზ. 1576

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 15 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

დებიუტი გიმნასტ დების პეტერსონისა ჟონგლიორ ხეითნისა და ამერიკელი მხიარულების ხელმწიფის **ჯაკსონისა.** ჩამოვიდა რუსი მოჭიდავე ნიკ. ვახტუროვი და გამოიწვია ყველა მოჭიდავე. დღეს ჭიდაობენ ვახტუროვი და საბატიე; გადამწყვეტი—მაისურაძე და ფონ სანდო; გადამწყვეტი—სეპნიკი და ზალევსკი; რევანში იგ. კინი და ჩემბერს ციპსი.

ანონსი: კვირას ორი წარმოდგენა. **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.** 809

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი

საოჯახო საღამო

შაბათს, 16 ნოემბერს, 1913 წელს

ბ-ნ პ. ო. ზარიჩნის დასისაგან წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი მხიარული კომედია

დანაშაულობიდან დანაშაულობისაკენ.

დაწვრილებით პროგრამებში. ადგილების ფასი პარტერში 10—50 კ., ქანდარა 20 კ ქანდარა ყველასათვის ხელმისაწვდომია. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცი 1 მ., ქალი 50კ., სტუდენტები 25 კ.

დასაწყ. საღამ. 8-ნახევ. ს. 1568

მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული

ჟურნალი

წლიურად 3 მან. **ფასი 5 კაპ.**

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასებზე 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ხელოვნების წამხალისებელი

კავკასიის საზოგადოება

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 11 საათზე ჰმართავს

აუქციონს

საზოგადოების წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებისას საზოგადოების ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩა, № 24, არშაკუნისეული სახლი).

დარბაზის დათვალიერება 14 ნოემბრიდან დილის 10—5 საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ. 1588

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პ რ ე ს მ ა ნ თ ა ნ.**

ყოველ დღე დილით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ექიმი **ქალისა ნინო რცხილაძე** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ი. ხ. გაჩეჩილაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაკტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით.

წამლობა „606“-ით 1462

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებული ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8—საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიძინონ დარჩენილი გეგმა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ქ. გ ო რ შ ი

(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).

ექიმი **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

მღვდელი

ექიმი **ს. ა. ლ ე ჟ ა ვ ა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—17.** 779

ექიმი **პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი **№** 117. ტელეფონი 816.

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, **№** 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი **ბ. შ. ლოლობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დილისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სოლოლაკის შესახვევი № 3. 1524

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., **№** 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სათოსტო ი. ნუთ. პირდაპირ. 102

ქართული პრესა

პატარა, დაბეჩავებულ ხალხის ბედი ყოველთვის ისეთი ყოფილა, რომ ყოველნაირი ბრძოლა, დიდი ასპარეზის უქონლობის გამო, პატარა მასშტაბითა ჰხდება. ამიტომ, როდესაც დიდს პოლიტიკურ პირობებისთვის გამოსადეგ ლოზუნგებს ამ ვიწროდ შემოფარგლულ პირობებში ვხმარობთ, თავის თავად მშვენიერი ლოზუნგები კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენენ. აი ლოთ, მაგალითად, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება და ის პოზიცია, რომელიც გაზეთ „მერცხალს“ უჭავია ამ საზოგადოების მოქმედების დაფასებას დროს.

„წერა-კითხვას გამავრცელებელი საზოგადოება,—სწერს „მერცხალი“,— თავიდანვე თავად-აზნაურული ინტელიგენციის სათარეშო მოედანია. ამიტომაც იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ოდნავ ბჟუტავდა და მის არსებობას ვერავინ ამჩნევდა: სად თავად-აზნაურობა და სად კულტურა?“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წევრთა გულ-წრფელ საზოგადოებრივ სამსახურის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც შეალიეს თავიანთი ძალღონე და მთელი თავისი კეთილშობილური მამულიშვილური გრძნობები ჩვენმა საუკეთესო საზოგადო მოღვაწეებმა, რომელმაც 35 წლის მოღვაწეობის განმავლობაში საერთო სიმპატია და თანაგრძნობა გამოიწვია,—ეს საზოგადოება, თურმე, მხოლოდ „თავ.-აზნაურული ინტელიგენციის სათარეშო მოედანი“ ყოფილა! მოდი და ნუ გაგეცინება! „მერცხლი“-ს პუბლიცისტები მართლა რომ სწორედ იმ გამოჩენილ გმირს მოგვაგონებენ, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა და შუბით რუმბებსა ჰხვრეტავდა!

„უკანასკნელ დროს ამ საზოგადოების ბედით,—სწერს „მერცხალი“,—დემოკრატია დაინტერესდა და მასაც გამოცოცხლება დაეტყო. მრავალ ადგილას წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება დაარსდა“.

ის მკითხველი, რომელიც კარგად არ იცნობს განყოფილებათა დაარსების ისტორიას, იფიქრებს, სწორედ დასელების საქმეა მათი დაარსებაო. მაგრამ, თუ საზოგადოების საქმეებს გადაათვალიერებთ, დარწმუნდებით, რომ განყოფილებათა დაარსება სწორედ იმათი საქმეა, ვისაც დღეს „მერცხალი“ ებრძვის. იმ წელიწადს, როდესაც ეს საკითხი გადასწყდა, დასელების იდეიური მოწინააღმდეგენი გამოვიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე ამ ლოზუნგით. დასელები კი წინააღმდეგობას უწევდნენ და მათმა ერთმა მეთაურთაგანმა საწინააღმდეგო რეზოლუციაც კი წარუდგინა საზოგადოებას, მაგრამ დამარცხდა.

მა'მ, რაღა ალაპარაკებს „მერცხალს“? ენის ქავილი და ტვინის ღიტინი თუ?

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** ტფილისს ჩამოვა დღეს, დილის 9 საათზე.

✦ **ანტონ ფურცელაძის** გარდაცვალების გამო, რედაქციამ სამძიმრის დეპეშა მიიღო **ხარკოვის** ქართველ სათვისტომოს გამგეობისაგან.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო სავადმყოფოს კურთხევაზე,** რომელიც დანიშნულია 17 ნოემბრისთვის, ნაშუადღევის 2 სა-

ათზე, ქალაქის გამგეობა მომავალ კრების მონაწილეთა გარდა მრავალ ხალხს იწვევს.

◆ ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა **სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა** ფორმის ქუდი და ტანისამოსი შეიძინონ. ზოგიერთმა აგენტმა ქუდი უკვე შეიძინა.

◆ ქველმოქმედთა საყურადღებოდ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ წვრილშვილი **მაკა გეურქას ასული ბოლდასართვისა** დაუძლურებულის მოხუცი ქმრით საშინელ სიღარიბეში იმყოფებიან. დახმარების მიწოდება შეიძლება შემდეგი მისამართით: **ნაძალადევი** ბაბიანსკის ქუჩა, სოფი მარქაროვის სახლში, ფრანგების სასაფლაოს გალავნის გვერდზე.

◆ **ოქმები.** ქალაქის მერვე და მეცხრე უბანში ამ სამის დღის განმავლობაში სავაჭრო ზედამხედველებმა ვ. ი. ზავაროვმა და მ. ს. თათევოსიანცმა მეპურეებს 44 ოქმი შეუდგინეს, რადგანაც პირველ და მესამე ხარისხის გამომცხვარი პური არა ჰქონდათ.

◆ **სად აშენდეს პოლიტეხნიკუმი?** 14 ნოემბერს საუწყებათაშორისო კომისიის კრება ხაშუადღევის 2 საათზე დაიწყო და საღამოს რვა საათზე დასრულდა. კრება მოხდა მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში მეფის მოადგილის საბჭოს წევრის მ. პ. გაკელის თავმჯდომარეობით. მთელი დრო კომისიამ მოანდომა პოლიტეხნიკუმისთვის აღთქმულ მიწების თვისებისა და საჭირო ხარჯების რაოდენობის გამორკვევას. კომისიამ მოისმინა მცირე კომისიის წევრის, საკანტროლო პალატის გამგის ა-ნ სმირნოვის მოხსენება, რომელშიაც ბ-ნი სმირნოვი აღნიშნავდა, რომ საფინანსო მოსაზრებათა გამო უფრო ხელსაყრელია საბურთალოში აგება პოლიტეხნიკუმისა, რადგანაც ნავთლუღის მიწებს ფასი მაშინაც კი არ დაედება, პოლიტეხნიკუმი იქ რომ აშენდეს. მცირე კომისიის გამოანგარიშებით, გზებისა, წყალსადენისა, ელექტრონისა და არხების გაყვანა საბურთალოში ერთ მილიონ მანეთით მეტი დაჯდება, ვიდრე ნავთლუღში. ამავ მცირე კომისიის აზრით ეს ფული უნდა დაიხარჯოს საპოლიტეხნიკუმო თანხიდან. კრების მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ კი აღიარა, რომ გზებისა, წყალსადენისა, არხებისა და ელექტრონის გაყვანა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის მოვალეობას შეადგენს. მეფის მოადგილის სურვილის თანახმად არავითარი რეზოლუცია არ გამოუტანიათ და ოქმში დაწვრილებით შეჰქონდათ თვითეულ ორატორის აზრი. ქალაქის მოურავები: ბაქოსი—ლ. ლ. ბიჩი, ტფილისისა—თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დ. კავკავისა ბაევი კრების დასაწყისიდან დასასრულამდე ნავთლუღის მომხრედ დარჩნენ. კრების ოქმი თეთრად შედგენილ იქმნება ამ ოთხ-ხუთ დღეში და მეფის მოადგილეს წარედგინება განსახილველად.

◆ დეპუტატმა კარლო ჩხეიძემ სათათბიროს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით სათათბიროში შეკითხვა შეიტანა **ამიერ-კავკასიაში სიმშილობის თაობაზე.**

◆ უკვალოდ დაიკარგნენ: ივანე რუდომანი, 14 წლისა, აკიმ კონჩინი და ქსენია როდნოვისა, 48 წლისა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების** მონაწილეთა წინასწარი კერძო თათბირი მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში. გუშინდლამდე კრების მონაწილედ 161 კაცი ჩაეწერა.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების** წლიურის კრების გაგრძელება მოხდება კვირას, 17 ნოემბერს, ახალ კლუბის დარბაზში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

◆ **კავკასიის საიურიდიო საზოგადოების** წლიური კრება 20 ნოემბერს მოხდება თანამდებობის პირთა ასარჩევად. 21 ნოემბერს დანიშნული კრება, საზოგადოების 40 წლის არსებობის აღსანიშნავად, სხვა დროისთვის გადაიდო.

ქუთაისი.

◆ ქუთაისში ფიქრობენ სააბრეშუმო სადგურის გახსნას.

◆ ამ დღეებში დასრულდა დონისროსტოვის წარმომადგენელთა მრეწველთა სარაიონო კრება, სადაც შავი ქვის საბჭოს მიერ გაგზავნილი იყო კიტა აბაშიძე, რომელიც ახლა ამ მრეწველთ აურჩევიათ თავის წარმომადგენლად ტვირთების გადაზიდვის საკითხის მომწესრიგებელ პეტერბურგის ცენტრალურ კომიტეტში.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მიიწვია სოფლის წვრილ კრედიტთა ამხანაგობების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირნი. კრებას უნდა გამოერკვია თუ რაოდენად დაზარალებულია ჩვენი მხარე წრევანდელი მოუსავლობით და რა საშუალება მიიღონ მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად.

◆ 14 ნოემბერს ღამით ქუთაისში თოვლი მოვიდა.

◆ კავკასიის სამთო საზოგადოებამ ს. ი. და ზ. ს. ნეფარიძეებს თავის მამულში (შუქრუთში) მადნის დამუშავების ნება მისცა.

◆ იბეჭდება და მალე გამოვა ს. ქვარიანის წიგნი: „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, წიგნის გამოცემა შემთხვევით დაგვიანდა.

◆ 13 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია სისხლის სამართლის საქმე **სიმონ სულაბერიძისა, ი. ნინუასი და ილ. ახობაძისა.** სასამართლომ სამივე ბრალდებული გაამართლა. ბრალდებული ახალგაზდა ვექილი სევერიან ლოლობერიძე იცავდა.

◆ 13 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ გაამართლა **ალ. ფალიანი**, რომელსაც სვანეთის რევოლუციაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა. ფალიანს იცავდა ნაფ. ვექ. ევგენი გეგეჭკორი.

◆ 13 ნოემბერს ქუთაისში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გარჩია **მელიტონ გობეჩიას** ლიტერატურული საქმე. მას ბრალდებოდა არალეგარული ბროშურის გამოცემა და მისი გავრცელება. ეს საქმე თებერვლის მანიფესტის ძალით მოისპო, მაგრამ გობეჩიამ განაცხადა, რომ მას არ სურს პატიება და საქმე გაირჩესო. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ყოველივე ღირსება უფლებათა ახდა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება. მას გარდა ამისა მისჯილი აქვს 1911 წლიდან 4 წლის კატორღა 1905 წ. ზუგდიდის მაზრაში რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის. საქმე გარეშეთა დაუსწრებლად გაირჩა, ბრალდებული თვითონ იცავდა თავის თავს.

გორი.

◆ ამ თვის გასულს გორში გაიმართება **სალიტერატურო საღამო** ელ. ზ. თარხან-მოურავის პროფესიონალურ სკოლის სასარგებლოდ. ამ სკოლამ, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე, საზოგადოების დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ მოწაფეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. მოწაფენი არიან სხვა და სხვა ეროვნების, წოდების, მდგომარეობისა. მაგრამ უმთავრესს ელემენტს, რასაკვირველია, ქართველობა შეადგენს, წოდების მხრივ კი—გლეხები. ხელმოკლენი უსასყიდლოთ სწავლობენ. მაგრამ სკოლა ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის. ყოველწლივ იმართება ასეთი საღამო მის საშუალებათა გასაძლიერებლად და ყოველწლივ საზოგადოება ბლომად ესწრობა. იმედია იგი არც ეხლა უღალატებს თვის ტრადიციას და გულთბილად მოეკიდება ამ კეთილს საქმეს.

◆ დიდძალი **შინაური ფრინველი** შემოჰყავთ გასასყიდათ გორის ბაზარზე, რადგანაც სოფლებში ქათმის ხოლერა მძვინვარებს თურმე. მაგრამ ზოგს სახლამდინაც ვერ ჩაჰყავს ნაყიდი ქათამი და გზაში უკვდება. უეჭველია სენი შემოტანილი იქნება გორშიაც. საჭირო მიღებულ იქმნეს ზომები, რათა ავადმყოფი ფრინველი გორის ბაზარზე არ გაიყიდოს. კვერცხი მთელს ქალაქში ძვირად იშოვება.

◆ სამეფო ქუჩაზე, „შუადამის“ დუქანთან, სადაც ცხინვალის ეტლები ჩერდებიან, **საშინელ სიმყრალის სუნი სდგას.** აგერ რამდენიმე ხანია გავლა შეუძლებელი ხდება. ვგონებ არსებობს გორში სასანიტარო კომისია და საკვირველია, რატომ არაფერს იღონებს ამის წინააღმდეგ.

◆ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, გორში **თოვლი მოვიდა.**

სოფლად.

◆ **ს. ავჭალა.** განსვენებულ ანტონ ფურცელაძის სულის მოსახსენებლად 9 ნოემბერს წირვა გადაიხადეს, ხოლო 10 ნოებერს კი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი სკოლების მოსწავლენი, მასწავლებელნი და ხალხი. მღ. ი. ქავჟარაძემ სიტყვა სთქვა.

სამწუხარო მოვლენა

(წერილი ქუთაისიდან).

11 ნოემბერს ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. საჭირო ყოფილა 22 ხმოსნის დასწრება, გამოცხადდა კი მხოლოდ 17 კაცი.

ღამის 10 საათი იქნებოდა, ქალაქის მოურავმა ბ-მა ჩიქოვანმა აუწყა დამსწრე ხმოსნებს, სხდომა აღარ შესდგება და შეგიძლიათ წაბრძანდეთო. თან ისიც დაუმატა, მე ამიერიდან ხელდაბანილი ვარ და, როგორც საბჭოს ენებოს, ისე მოიქცესო.

მეტად სამწუხაროა, როდესაც ქალაქის მოურავი პილატესავით ხელს იბანს და ეუბნება ხმოსნებს, მე ჩემი ვალი მოვიხადე და ეხლა, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცითო.

რამ მიიყვანა ქალაქის მოურავი ამ მდგომარეობამდე, რამ სასოება რამ წარუკვეთა და მზადაა სამოქმედო იარაღი დაჰყაროს!

ჩვენ არც ქალაქის მოურავის, არც ქალაქის გამგეობის გამოსარჩლება არა გვსურს; იქნება, ბევრს რამეში ჩვენც ვამტყუნებდეთ ქალაქის გამგეობას; მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელიც ქალაქის გამგეობის გარშემო შექმნილა, ყოვლად შეუძლებელია ენერგიულად, გულგაუტეხლად მუშაობა და რამე სერიოზული საქმის გაკეთება.

ქალაქის გამგეობა და საბჭო ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მუშაობდნენ და ენერგიულად ეწეოდნენ იმ მძიმე, მაგრამ საპატიო უღელს, რომელიც მათ ქალაქის 60.000 მცხოვრებმა აკისრა.

მერმე ჩვენი ქალაქის მამები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას და საჭირო მზრუნველობას იჩენენ ქალაქის კეთილდღეობაზე?

ქალაქის მუნიციპალური ცხოვრება ძლიერ გვაინტერესებს, თვალყურს ვადევნებთ მის მსვლელობას, მაგრამ ასეთი უენერგიო, უმოქმედო და უსიცოცხლო ქალაქის საბჭო კი არ გვინახავს, არც გაგვიგონია, რომ ოდესმე ყოფილიყოს ქუთაისში.

ხმოსანთა ერთი ნაწილი, თითქო საბჭოს ბოიკოტს უცხადებს, სხდომებს სულ არ ეკარება, თუ, რასაკვირველია, თანამდებობის პირთა არჩევანი არაა დანიშნული, ან პირადად არაა ამა თუ იმ სახით დაინტერესებული. ხმოსანთა მეორე ნაწილი, თუმცა საბჭოს სხდომებს ესწრება ხანდისხან მაინც, მაგრამ ესწრება რაღაც უგულოდ, ძალდატანებით; თითქმს მხოლოდ მისთვის მიდიოდეს, რომ სხდომაზე მისი გამოცხადება აღნიშნულ იქნეს სიაში. სამწუხაროდ, ისეთი ხმოსნებიც მოიძებნებიან, რომელთაც ქალაქის საბჭოს სხდომები საზოგადო ასპარეზად გადუქცევიათ და, ქალაქის გამგეობისაგან უკმაყოფილონი, პირადი ინტერესებით გამსჭვალულნი, მუდამ იმის ცდაში არიან, რომ ქალაქის გამგეობას ცილი დასწამონ, ქუჩაში შეკრებილი ჭორები თავზე მოახვიონ, უწოდონ მას ბოროტ-მომქმედი, ქურდების მფარველი და სხვ., და ამგვარად სახელი გაუტეხონ, ნდობა დაუკარგონ, არიან, რასაკვირველია, რიგიანი ხმოსნებიც, რომელთაც ქალაქის საქმეებზე ნამდვილად შესტკივათ გული და პირნათლად ასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას, მაგრამ ასეთ ხმოსანთა რიცხვი, სამწუხაროდ მცირეა.

აი, ასეთია ახლანდელი ქალაქის საბჭოს შემადგენლობა, იმ საბჭოსი, რომელიც უნდა იყოს გამგეობის მარჯვენა ხელი, მისი კანონმდებელი, გზის მაჩვენებელი. და განა გასაკვირველია, თუ ქალაქის გამგეობამ, ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებულმა, დიდი ფხა, დიდი უნარი ვერ გამოიჩინოს და რამე სერიოზული, თვალსაჩინო საქმე ვერ გააკეთოს? რასაკვირველია, დიდი დამნაშავე იქნებოდა ქალაქის გამგეობა, რომ მას საქმის გაკეთების სურვილი არ ჰქონდეს და თავის მხრით ცდას აკლებდეს, მაგრამ როდესაც თვითონ ხმოსნები მის კეთილ განზრახვებს ელობებიან, განა შეიძლება ასეთ შემთხვევებში ქალაქის გამგეობის გაწბილება და დამნაშავედ ჩათვლა?!

სამი წელიწადია შეუსრულდა ქალაქის ახლანდელ საბჭოს არსებობას; ერთი წელიწადიც კიდევ და ანგარიში უნდა წარუდგინოს მან თავის მრწმუნებელ ამომრჩევლებს, თუ რა გააკეთა მან ოთხი წლის განმავლობაში ქალაქის სასიკეთოდ, საკეთილდღეოთ. არ ვიცით, ამ წლის განმავლობაში როგორ გარდიქმნება ჩვენი ქალაქის საბჭო, რა ფხას გამოიჩენს, რა კვალს დაჩნევს თავის მოღვაწეობას, მაგრამ თითქმის სრულიად უკვალ-უმნიშვნელოდ განვლილი სამი წლის მაგალითი მომავალშიაც სანუგეშოს არას გვიქადის.

ხშირად ვესწრებით საბჭოს სხდომებს, მაგრამ ერთი მაგალითიც არ გვახსოვს, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ხმოსნებს რამე სერიოზული, დამუშავებული მოხსენება, რამე საყურადღებო პროექტი წარედგინოთ საბჭოს განსახილველად; ერთი მაგალითიც არ გვახსოვს, რომ ხმოსნებს ახალი რამ შეეტანოთ ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებაში. იქნება, ვინმემ იფიქროს, ქალაქის საბჭოს ხმოსნები გაუნათლებელნი არიან და არ შეუძლიანთ მოხსენების წერა. წინააღმდეგ, ასეთი ინტელიგენტური საბჭო ქუთაისში აროდეს ყოფილა და, იქნება, სხვა ქალაქებშიაც იშვიათი ყოფილიყოს. ჩვენ საგანგებოდ გადავათვალიერეთ საბჭოს ხმოსნების სია და რა დავინახეთ: 43 ხმოსნიდან 27-ს გათავებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი, 11-ს საშუალო და მხოლოდ 5-ს გაუთავებია დაბალი სასწავლებელი, ან წერა-კითხვა ოჯახში უსწავლია.

მოხსენებისა და პროექტების წერამ თქვენი ჭირი წაიღოს, ამას, თუ გნებავთ, ნუ მოვსთხოვთ ხმოსნებს, მაგრამ განა შესაძლებელია, ის მაინც არ მოვთხოვოთ, რომ საბჭოს სხდომებს დაესწრონ, გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები მაინც განიხილონ და ამა თუ იმ საკითხ' თავისი მსჯავრი დასდონ?!

იქნება, პატივცემულ მკითხველს ეგონოს, საბჭოს სხდომა რომ კანონიერად ჩაითვალოს, ხმოსანთა დიდი უმრავლესობის დასწრება იყოს საჭირო. სრულიადაც არა; უბრალო საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ხმოსანთა რიცხვის მესამედი, ე. ი. 15 კაცის, დასწრება; ხოლო ისეთი სერიოზული, პასუხსაგები საკითხების განსახილველად, როგორიცაა: ვალის აღება, პირობის შეკვრა ქალაქის მუნიციპალური საქმების მოწყობის შესახებ და სხ., საჭიროა ხმოსანთა ნახევარი რიცხვი, ე. ი. 22 კაცი.

ჩვენი ხმოსნები ამ მხრით მაინც ასრულებენ თავის მოვალეობას?

—ძლიერ ცუდად. ხშირად არამც თუ ისეთი სხდომები არ სდგება, რომელსაც უბრალო საკითხები აქვს განსახილველი; მეტად სერიოზული, პირველხარისხოვანი საკითხების განხილვასაც კი არ ესწრებიან ჩვენი ხმოსნები. ქალაქის ქუთაისისათვის იმაზედ უფრო სერიოზული, რთული და პასუხსაგები საქმე რაღა იქნება როგორიცაა, მაგალითად, ქალაქის

ეროვნულს საკითხზე

თავი I

საქართველოს ავტონომია

III

ახალი პროექტი.

ეროვნული საკითხი ჩვენში ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის გარშემოც დიდი ხანია იდეური ბრძოლა სწარმოებს. ეს ბრძოლა ყოველთვის ერთნაირი ხასიათისა არა ყოფილა. იგი ხან წმინდა თეორეტიული იყო, ხან, პრაქტიკულ ცხოვრების ზედგავლენით, სასტიკსა და დაუნდობელ ელფერს იღებდა; მაგრამ არც ერთხელ მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. იგი ყოველთვის ყველა საკითხთა მთავარ საკითხად რჩებოდა და რამოდენიმე მტრულად განწყობილ ბანაკად ჰყოფდა ქართველ საზოგადოებას. ერთი რამ ახასიათებდა ამ ბრძოლას: ირკვეოდა, რომ ეროვნული საკითხი თვით ჩვენთვისაა გამოურკვეველი, ჯერ ჩვენთვისაც კი არ გადაგვიწყვეტია, რა გვინდა, საით მივისწრაფვით, რანაირია ჩვენი იდეალი. კულტუროსანმა ერებმა, როგორც ერთს ჩვენს წერილში გვქონდა აღნიშნული, დიდი ხანია განვლეს ეს ფაზა განვითარებისა. მათ დიდიხანია **პრინციპიალურად** უკვე გამორკვეული აქვთ თავიანთი ეროვნული იდეალი. საკამათოდღაა გამხდარი მხოლოდ **დეტალები** საკითხისა და **საშუალებანი** ეროვნული იდეალის განხორციელებისა. თქმა არ უნდა, ასეთს პირობებში დარბაისლური პრაქტიკული მოქმედება დასახულ მიზნის განსახორციელებლად და მოგერება იმ ძალებისა, რომლებიც დღითიდღე ძირს უთხრიდნენ და დღეს უთხრიან ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას, ძნელდებოდა. ძალთა კონცენტრაციის ნაცვლად ვხედავთ დაქსაქსვას, დანაწილებას, რაც საბოლოვოდ ისევ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას აზარალებდა და მეტს გაბედულობას აძლევდა იქ ძალებს, რომელთა საბოლოვო მიზანიც არის ჩვენი დენაციონალიზაცია, გადაგვარება, გადაშენება. ერთის მხრით შეგნება იმისა, რომ ჩვენს წინ უდიდესი საფრთხე აღმართულა და მეორეს მხრით დაჟინებული უარყოფა ქართველი ხალხის განსაკუთრებული ეროვნული ინტერესებისა ამწვავებდა საზოგადოებრივ ჯგუფთა განწყობილებას და გადაუვალ უფსკრულსა სთხრიდა იქ, სადაც ნამდვილად თანხმობა და ერთსულოვნება უნდა ყოფილიყო.

ეროვნული საკითხის გარშემო ატეხილმა კამათმა ჩვენში მეტის-მეტად ავადმყოფური ხასიათი მიიღო: შეუძლებელი გაჰხდა ერთმანეთის გაგება, შეუძლებელი გაჰხდა რაიმე სოლიდარული აზროვნება მონათესავე ჯგუფთა შორისაც კი. პოლემიკის ამ გვარ მარგალიტებს დღესაც ბევრს შეჰხვდებით ქართულ გაზეთებში. დღესაც, მაგალითად, საქართველოს ავტონომია შავ-რაზმულ მოთხოვნილებათაა გამოცხადებული. მთელი ატმოსფერაა გაჟღენთილი იმ წარმოდგენით, რომ ავტონომია ძველი წეს-წყობილების აღდგენასა ნიშნავს, რომ ავტონომიას მხოლოდ ისა თხოულობს, ვისაც უნდა „ჩინური კედლები“ ააგოს, შოვინიზმის ქოხში ჩაიხრჩოს და სხვა. ამ სტრიქონების დამწერს ხშირად უპაასნია ზემოხსენებულ საკითხის შესახებ მუშებთანაც, გლეხებთანაც, მოინტელიგენტე წრეებთანაც და ყველგან. შეჰხვედრია ისეთები, რომელთაც ავტონომია ისეთს ბოროტებად მიაჩნიათ, რომელსაც მხოლოდ უკიდურესი კონსერვატორი თუ დაუჭერს მხარსა. ფართო მასის წარმოდგენაში თვით სიტყვა „ავტონომია“ „მონობის“ სინონიმად არის გადაქცეული. როგორ მოჰხდა ცნებათა ასეთი ტრანსფორმაცია, როგორ მოჰხდა, რომ „ავტონომია“ „მონობად“ აღიბეჭდა ფართო მასის გონებაში, ამის პასუხი უნდა მოვსთხოვოთ ჩვენს დასელებს, რომლებსაც - მათდა საქებლად და სადიდებლად,—გასაოცარი ენერგია გამოიჩინეს ამ თავის თავად ადვილად გასაგებ ცნების გასამახინჯებლად.

ეხლა ვერ გამოვეკიდებით იმის აღწერას, თუ სად, როდის დაიწერა ისეთი რამ, რაც ხელს უწყობდა ცნებათა ზემოხსენებულ არევ-დარევას. მაგრამ რომ ეს ფაქტია, ამის დამოწმება შეუძლიან ყოველ კეთილ-სინდისიერ დასელსაც კი.

ამისთანა პირობებში ყოველი ისეთი წერილი, რომელშიაც ავტორი საკითხის გამორკვევასა სცდილობს და არა დაბნელებას, სიამოვნებით უნდა იყოს მიღებული. სწორედ ამნაირი წერილები დაიბეჭდა ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგების გაზეთებში. ბ-ნ ნარიძის ფელეტონებზე მოგახსენებთ. ეს წერილები ბევრის მხრითაა საინტერესო და ამიტომ, სანამ შევუდგებოდეთ იმის გამორკვევას, თუ როგორ გვესმის ჩვენ თვითონ საქართველოს პოლიტიკური იდეალი, რანაირის საშუალებით შეიძლება ამ იდეალის განხორციელება და მისი შეთანხმება კავკასიის სხვა ერთა ინტერესებთან,—სანამ ამას გამოვარკვევდეთ, გავარჩიოთ ბ-ნ ნარიძის პროექტი და ვნახოთ, რა არის მასში ახალი და რა არის ძველი, მართლა სწყვეტავს იგი ეროვნულ საკითხს საზოგადოდ და საქართველოს საკითხს—კერძოდ, თუ არა.

ამის გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ბ-ნ ნარიძის ფელეტონებში ბევრი გაუგებრობაა, ბუნდოვანობა და გამოურკვევლობა. ამ ბუნდოვანობის გამომზეურობა ცხადჰყოფს ჩვენთვის, რომ ეროვნული საკითხი მხოლოდ ისე შეიძლება გადასწყდეს, როგორც ჩვენი მიმდინარეობა სწყვეტავს. ყველა სხვა პროექტი შეუსაბამოა არსებითად და მით უფრო შეუსაბამოა ჩვენისთანა პირობებში მყოფ ერისთვის. ეს უფრო ნათელი და ცხადი გაჰხდება ჩვენთვის მაშინ, როდესაც ბ-ნ ნარიძის პროექტს გავარჩევთ და მუშტრის თვალით გავუსინჯავთ კბილსა.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ნარიძე ჰკიცხავს იმ თანამოაზრეთ, რომელნიც გვერდს უხვევენ ეროვნულ საკითხს და არა სცდილობენ მის გადაწყვეტას ეხლავე. ნიჰილიზმი ეროვნულ საკითხში, რასაც დღეს ბ-ნი ნარიძე უარჰყოფს და რაც ჩვენსა და მათ შორის ერთს უმთავრეს უთანხმოებად იყო გადაქცეული, ყოველთვის ძავნებელი ყოფილა. ჩვენ ყოველთვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ყოველს მომქმედ პოლიტიკურ ჯგუფს შემუშავებული ჰქონოდა დადებითი ეროვნული პროგრამა, და არა მხოლოდ უარყოფითი, რადგანაც,—გავიმეორებთ ბ-ნ ნარიძის სიტყვებს,—„მოთხოვნილებათა წამოყენება განიზომება არა მათი დაუყოვნებელი განხორციელებით, არამედ მათი საორგანიზაციო და საპროპაგანდო მნიშვნელობით“. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია საჭიროდ კონკრეტული ეროვნული პროგრამა, სწორედ ამიტომაც ვებრძვით იმ დასელებს, რომელნიც ნიჰილისტურ მსჯელობაზე შორს არ მიდიოდნენ და ყოველს ჩვენს ნაბიჯს კონკრეტულ ეროვნულ პროგრამის შემუშავებისკენ რეაქციონურად სთვლიდნენ. სჩანს, ეროვნული საკითხი და მასზე ზრუნვა თავის თავად არც ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა ყოფილა, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ და როგორც ხალხში ავრცელებდნენ! დღეს ბ-ნი ნარიძე სულ სხვა კილოზე ლაპარაკობს, იგი თავის მოაზრეებს ეკამათება და ჰგმობს იმას, რასაც ჩვენ დიდიხანია ვგმობდით და რისთვისაც არა ერთხელ უცვიათ ჯვარზე თავიანთი იდეიური მოწინააღმდეგენი. სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ, რაოდენი ბრძოლა, რაოდენი დამცირება და ბუჩად აგდება გახდა საჭირო, სანამ ამ ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგენი ამ უბრალო აზრს შეითვისებდნენ. რა თქმა უნდა, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს დასელები მთლად იზიარებენ ჩვენს აზრს. როგორც სჩანს, ერთხელ მიღებული ყალბი აზრის გონებიდან აღმოფხვრა უფრო ძნელი საქმე ყოფილა, ვიდრე ახალის შეთვისება; მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ბ-ნი ნარიძე დღეს თავისიანებს ეკამათება და დადებითს ეროვნულ პროგრამას მოითხოვს, „საპროპაგანდო და საორგანიზაციო“ მოსაზრებათა ძალით, მხოლოდ ის გვიმტკიცებს, რომ პრინციპი საქართველოს ავტონომიისა ახალ-ახალ პოზიციებს იჭერს.

„ამბობენ, რა საჭიროა ნაციონალური საკითხის წამოყენება, როცა მისი ცალკე გადაწყვეტა არ შეიძლება,—სწერს ბ-ნი ნარიძე.—ეს ერთი რგოლია საერთო დემოკრატიული მოთხოვნილებისა და როცა დემოკრატიული წყობილება დამყარდება, ამათ თავის თავად ნაციონალური საკითხიც გადაწყდებაო. ეს ერთიანად ძველი ბოლშევიკური აზროვნებაა და გასაკვირველი არ არის, როცა ეხლა ამას იმეორებენ იმავე მიმართულების ძველი მიმდევრები. მაგრამ მათ ავიწყდებათ შემდეგი: რატომ იგივე არ შეიძლება ითქვას სიტყვის თავისუფლებაზე? და საზოგადოდ რა საჭიროა სხვა და სხვა პოლიტიკური მოთხოვნათა წამოყენება, როცა ყველა ეს გადაწყდება დემოკრატიული წყობილების მოპოებით? და თუ ამას არც ერთი პარტია არა სჩადის, ცხადია—რატომ შვრებით ამას: მოთხოვნილებათა წამოყენებას და მათი დროშის ქვეშ ბრძოლის დიდი საპროპაგანდო და საორგანიზაციო მნიშვნელობა აქვს“.

საკომენტარიო აქ არაფერია. ბ-ნ ნარიძეს საჭიროდ მიაჩნია არა მარტო დეკლარატიული განცხადება, ჩვენ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგნი ვართ, არამედ ისეთი დადებითი პროგრამა, რომელიც, ჯერ ერთი, ხელს შეუწყობს ეროვნული იდეის პროპაგანდას ან, მეორეც, ხალხს მისცემს თავისუფალ ეროვნულ განვითარების პოლიტიკურ გარანტიებს. ბ-ნი ნარიძე გვაძლევს ამ პროგრამასაც. ვნახოთ, რა ხასიათისაა იგი და შეიძლება თუ არა ქართველმა ხალხმა იგი პროგრამა დაისახოს თავისთვის, თუ ჰსურს მოიპოვოს რეალური გარანტიები თავისუფალ განვითარებისა.

ბ-ნი ნარიძე, სანამ საკითხის არსებითად გამორკვევას შეუდგებოდეს, ცდილობს მოგვცეს მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ როგორ დაიბადა და განვითარდა ეროვნული საკითხი ჩვენში. ბ-ნ ნარიძეს აქ ბევრი რამ საყურადღებო შეეძლო ეთქვა, მაგრამ იგი სქემატიური სურათით კმაყოფილდება. სქემატიური მსჯელობა, როგორც დასკვნა წინასწარ ვრცელ დასაბუთებისა, სასარგებლოა. მაგრამ, როდესაც სქემას წინ ასეთი დასაბუთება არ უძღვის, თვით სქემაც გაუგებარი და ბუნდოვანი გამოდის. სწორედ ასეც ემართება ბ-ნ ნარიძეს. მისი სქემატიური ისტორია საკითხისა სავსეა ბუნდოვანობით, შინაგანი წინააღმდეგობით და სრულიად

გამგეობის მოხსენება $5^{0}/_{0}$-იანი ობლიგაციური სესხის, 2,275,000 მანეთის აღებასა და ამ სესხით ქალაქის მუნიციპალური საქმეების—წყალსადენის, ელექტრონული სადგურის, განათებისა და ტრამვაის—მოწყობის შესახებ. მერმე როგორა გგონიათ, ასეთი საკითხის განხილვას მაინც ესწრობიან ჩვენი ქალაქის მამები და მის გადაწყვეტაში მაინც იღებენ გულმხურვალე მონაწილეობას?—სამწუხაროდ—არა: აქაც ჩვეულებრივი გულცივობა მეფობს. ხსენებული საკითხის განხილვას, მგონი, სექტემბრის დასაწყისში შეუდგა საბჭო, მაგრამ დღემდი საკითხი ისევ საკითხად რჩება, და მის სუსურველად დაბოლოებას მხოლოდ ბედნიერი კაცი თუ მოესწრება.“

ჩვენ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რამდენად შემუშავებულ—დასაბუთებული და მისაღებია ქალაქის გამგეობის მოხსენება, მაგრამ, რაც უნდა იყოს, საჭიროა, რომ ამ მოხსენებას საბჭომ ანგარიში გაუწიოს და ასე თუ ისე გადასწყვიტოს მისი ბედი: ან მიიღოს უცვლელად, თუ, რასაკვირველია, მოსაწონი იქნება, ან მოახდინოს შიგ საჭირო ცვლილებანი, ან და სრულიად უარჰყოს, თუ უვარგისად სცნობს; თორემ რასა ჰგავს ასეთი მდგომარეობა: ქალაქი ღარიბია ნივთიერად; მისი ხარჯები ყოველწლივ მატულობს, შემოსავლის წყაროები კი თითქო ერთ წერტილზე გაყინულა. საჭიროა ახალი წყაროების აღმოჩენა და ახალი შემოსავლის შექმნა. სწორედ ასეთ შემოსავლიან წყაროებად შეიქმნებოდა ქალაქის ხსენებული მუნიციპალური საქმეები, თუ ოდესმე ეღირსებოდა მათ განხორციელება, გარდა იმისა, რომ გაუმჯობესებდა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, ხელს შეუწყობდა მის გამშვენიერებას, კეთილმოწყობას და გაადვილებდა ცხოვრების პირობებს. და როდესაც ქალაქის საბჭო ასეთი საკითხების განხილვასაც კი არ ესწრება და მათს განხორციელებას ხელს უშლის, ამაზე მეტი დანაშაული ხმოსნის მოვალეობის წინაშე განა შეიძლება?!

ვინც რა უნდა უწოდოს, ჩვენ კი ასეთ ხმოსნებს ქალაქის „მამებს“ კი არა, „მამინაცვლებს“ ვუწოდებთ.

მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა. **მემატიანე.**

ახალი დებულება კატორღელებისათვის

სახელმწიფო სათათბიროში მინისტრთა საბჭომ წარსადგენად შეიმუშავა კანონ-პროექტი კატორღის რეფორმებისა. ამ კანონ-პროექტის დებულებანი მოგვყავს: კატორღაში მუშაობა სავალდებულო იქნება შემდეგის წესით: ეს მუშაობა გამოყენებული იქნება სახელმწიფოებრივ კულტურულ ზომების განხორციელებისათვის. აქ იგულისხმება გადასახლებულთათვის მიწების დამზადება, ტყის გაშენება, ხის ძირების ამოთხრა, რკინის გზასა, გზა ტკეცილისა და შარა გზების გაყვანა, მდინარეების კალაპოტის გასუფთავება და სხვა.

კატორღელებისაგან მოძრავ მუშათა რაზმებს შეადგენენ, რომელთაც დარაჯების სათანადო რიცხვი უმეთვალყურებს.

პირველ ექვსი თვის განმავლობაში კატორღელებს მუშაობისათვის არაფერი არ მიეცემათ, შემდეგ კი მათ სასარგებლოდ გადაიდება ნამუშევარის ღირებულების $^{1}/_{10}$—$^{3}/_{10}$-მდე იმის და მიხედვით, თუ კატორღელი რა ჯგუფს ეკუთვნის.

1 ჯგუფში თავდაპირველად გამოსაცდელათ ჩარიცხავენ. ამ ჯგუფში იქნებიან $^{1}/_{3}$-ს იმ ვადისა, რომელიც მას სასამართლომ მიუსაჯა. შემდეგ გადაიყვანენ გამასწორებელ ჯგუფში, ბოლოს კი შეღავათიანთა ჯგუფში, სადაც დარჩებიან სასჯელის მოხდამდე, თუ ისინი ვადაზე ადრე არ გაანთავისუფლეს. შესაძლოა აგრეთვე შეუმცირდეთ ყოველ ჯგუფში ყოფნის ვადაც.

კატორღელის ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა მინდობილი ექნება განსაკუთრებულ საბჭოს, რომელიც შესდგება: ციხის უფროსისა, მისი თანაშემწეებისა, ციხის მღვდლისა, ექიმისა და მასწავლებლისაგან. დადგენილება უნდა დაამტკიცოს სატუსაღოების საგუბერნიო ინსპექტორმა, ან ვიცე-გუბერნატორმა. სასჯელ-მოხდილნი საცხოვრებლად გაიგზავნებიან 3—4 წლის ვადით პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ., ადგილები ამორჩეული იქნება ყოველ სამი წლის განმავლობაში უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დებულებებით. ამ ვადის გათავების შემდეგ მათ ყველგან ცხოვრების უფლება მიეცემათ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ: ის ადგილები, სადაც აკრძალული ექნებათ ცხოვრება იმ პირთ, რომელნიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, აგრეთვე იმ გუბერნიებში, სადაც ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს და სადაც მუდმივ სცხოვრობდა ბრალდებული ბოროტ-მოქმედების ჩადენის დროს. სასჯელ მოხდილთ მიაწერენ სასოფლო ან მდაბიო მოქალაქეების საზოგადოებებს. მათ მიენიჭებათ ვაჭრობა მრეწველობის უფლება, მხოლოდ უფლება არ ექნებათ ვაჭრობის პირველ ორი ხარისხის მოწმობის ამორჩევისა და მრეწველობაში—პირველი ხუთი ხარისხისა.

კანონ-პროექტი შეიცავს აგრეთვე გაუქმებას: კატორღელთა უფლებისა, რომ მათ ოჯახებს შეეძლოთ კატორღელთან წასვლა საკატორღო ადგილებში, და განქორწინების თხოვნის უფლებისა.

ორიოდე სიტყვა

„ახალი აზრის“ № 33 ბ-ნი მენი ამბობს: ერთად ერთი მიზეზი იმისა, რომ ხალხი არ ესწრება ქართულ წარმოდგენებს ჩვენი ხალხის ნივთიერი ხელმოკლეობაა. ჩვენს თეატრში მოსიარულე ხალხი ვერ შესწვდენია იმ ფასებს, რომელიც დრამატიულ საზოგადოებას აქვს დაწესებულიო“ ამის დამამტკიცებელ საბუთად ბ-ნ მენს სახალხო სახლის მაგალითი მოჰყავს.

რასაკვირველია, ბ-ნი მენი მართალი იქნებოდა მაშინ, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და ქართულ სახალხო. წარმოდგენების მმართველი სექციის მდგომარეობა ერთნაირი იყოს. ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, რომ ქართულ თეატრში ადგილების ფასები თუნდაც გაენახევრებიათ. მაგრამ როდესაც სახალხო სახლში არსებულ სექციას მსახიობები (სცენის მოყვარეები) სრულებით უფასო ჰყავს და ქართულ დრამატიულ საზოგადოებას კი დასი თვიურად 4000 მანეთი უჯდება. ძნელია ფასის განახევრებაზე ლაპარაკი, ამის გარდა სახალხო სახლში გაცილებით უფრო მეტი ადგილია ვიდრე ქართულ თეატრში, ასე რომ ქართულ თეატრში რომ სახალხო ფასები დააწესონ, მაშინ ზარალი ორი იმდენი იქნება, რაც შემოსავალი. მიეცით ქართულ დრამატიულ საზოგადოებას უფასო დასი, შეუმცირეთ ხარჯები (ადმინისტრაციის შენახვისა, მოსამსახურეებზე, სცენაზე, მანქანებზე, დეკორაციებზე, კაპელდინერებზე და სხვა), რაც ქართულ სექციას უფასოდ აქვს, და მაშინ დარწმუნებულნი ვართ საზოგადოების გამგეობა, არამც თუ ფასებს შეამცირებს, არამედ მუშების უღარიბეს ნაწილთათვის უფასო ადგილებსაც დააწესებს.

ჩემი საყვედური, რასაკვირველია, ხალხისადმი არ იყო მიმართული. ხალხი სახალხო სახლში მუდამ სიყვარულით ეგებება საქმეს. ქართულ თეატრშიაც უმეტეს შემთხვევაში ხალხი დაიარება. მხოლოდ ვერა ვხედავთ ინტელიგენციას. ასე თუ ისე ჩვენს ინტელიგენციას იმდენი შეძლება აქვს, რომ კვირაში ორჯერ დაესწროს ქართულ წარმოდგენას. ამის დამამოწმებელი საბუთია ის გარემოება, რომ ახალი კლუბი მუდამ სავსეა ამ ინტელიგენციით, ყოველღამ ისინი თითო-ოროლა მანეთს ხარჯავენ ამ კლუბში. მეც მწუხარება სწორედ ამ შეუფერებელ საქციელის გამო გამოვსთქვი.

კორდელი.

მცირე შენიშვნა

(იაკ ზედგინიძისა და ვ ჯაფარიძის წერილების გამო.

არიან ჩვენში ისეთი ჯურის ადამიანები, რომლებიც გარდაცვალებულს მოღვაწეებსაც კი არ ინდობენ, ხშირად ცილსა სწამებენ, დარწმუნებულნი არიან, რადგან მიცვალებული ხმას ვერ გასცემს, ყველაფერი ეპატიებათ.

სწორედ მოგახსენოთ მეტად გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე, კორდელთან პოლემიკის დროს, სრულიად უსამართლოდ და მოურიდებლად შეეხენ გოგებაშვილის პიროვნებას და თავიანთ წერილებში გზა და გზა ცილის წამებასაც კი არ მოერიდნენ.

უბრალო მართებულობა მოითხოვდა ამ ვეებერთელა საპოლემიკო წერილებში გოგებაშვილი სრულიად არ ეხსენებიათ, რადგანაც იმ წიგნთან, რომელსაც ბ. კორდელი არჩევდა გოგებაშვილის წიგნებს არავითარი კავშირი არ აქვს, მაგრამ ეს ხსენება და მასთან უდიერიც და უაზრო რეპლიკები იმიტომ დასჭირდათ, რომ გოგებაშვილს და მის სახელმძღვანელოებს სახელი გაუტეხონ და თავიანთი თავი აქონ და ადიდონ! მაგრამ შეგნებული და დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ბევრი, რასაც ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე ამბობენ გოგებაშვილის შესახებ, ან მტკნარი სიცრუეა, ან პირადის ანგარიშით გამოწვეული ჯავრის ყრა.

აი რას ამბობს ეს ორი პედაგოგი გოგებაშვილზე: „გოგებაშვილი მოღალატედ სთვლიდა ყველას, ვინც რაიმე წიგნს, თუნდა უმცირესს დასდებდა მისს სახელმძღვანელოებს, ან ახალს, საკუთარს გამოსცემდაო“. ასეთი აზრი განსვენებულს გოგებაშვილზე გაავრცელეს იმათ, ვინც გოგებაშვილის სამართლიანი მწვავე მათრახები საკმაოდ იწვნიეს. უეჭველია იმათ რიცხვში ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძეც უნდა ერივნენ, რადგანაც ამ ზღაპარს ისინი ხაზ გასმით იმეორებენ, მაგრამ საქმეში ჩახედული და ჩვენი ხალხის განათლების საქმის მცოდნე მკითხველი დაგვარწმუნება, რომ გოგებაშვილი სდევნიდა მხოლოდ უნიჭოდ შედგენილს და მავნე სახელმძღვანელოებს, რაც მისს პედაგოგიურს რწმენასა და ქართული სკოლის ინტერესს ეწინააღმდეგებოდა და უნდა ვსთქვათ, რომ ამაშიაც განსვენებულს პედაგოგს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სკოლის წინაშე და არა იმათ, ვინც დღეს სხვა და სხვა მიკიბულ-მოკიბულის მოსაზრებით ხელს უწყობენ ისედაც დაჩაგრული ეროვნული სკოლის სულის დაფვას. განსვენებული გოგებაშვილი ყოველს გონიერს შენიშვნას მისი სახელმძღვანელოების შესახებ ანგარიშს უწევდა, შესწორებაც შეჰქონდა, თუმცა ზოგიერთებს ბევრში არ ეთანხმებოდა.

ბ.ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე განაგრძობენ: „ჩვენი სახელმძღვანელო მოეწონა მასწავლებელს, სასარგებლოდ სცნო მან იგი და შემოიღო. თვით ადგილობრივი პრესსაც თანაგრძნობით შეხვდა თავის დროზე ჩვენს სახელმძღვანელოს. მტრულად დახვდა პირველ ნაწ. ჩვენ სახელმძღვანელოისას ი. გოგებაშვილიო (მაშინ მეორე ნაწილი არ იყო გამოსული) და შეაჩვენა. მუნჯური მეთოდით არის შედგენილიო, აგინებდა მასწავლებლებს ლევიტსკის, ვოსტორგოვს—ცხადია რისთვისაც, ამაზე თავის დროზე ღირსეული პასუხი მიიღო განსვენებულმა ბ. პედაგოგისაგან გაზ. „კოლხიდაში“. ცხოვრებამ პასუხი გასცა—წიგნი სწრაფად გავრცელდა არამც თუ ქართულსა, არამედ სომხისა და თათრის სკოლებში“ („სახ. გაზ.“ № 1035)

როგორც ვიცით ზედგინიძე-ჯაფარიძის პირველი წიგნის შესახებ ბ. კორდელს ხმაც არ ამოუღია, იგი არჩევდა მხოლოდ მეორე ნაწილს. მაშასადამე ამ პედაგოგების მიზანია თავიანთ ნაწარმოებს, პირველსა და მეორე ნაწილს მეტი ბაზარი მოუპოვოს, შეაქოს, მკითხველსა და მყიდველს თვალი აუბას და პირდაპირი პასუხის ნაცვლად ის „საქონელიც“ ქებით შეამკოს, რომლის შესახებ ლაპარაკიც კი არ ყოფილა. „მასწავლებლებმა მოიწონეს და შემოიღესო“, ამბობენ ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე თავიანთ სახელმძღვანელოების პირველი ნაწილის შესახებ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ განა არ ვიცით, თუ დღევანდელს პირობებში რაგვარ თავისნებას იჩენენ მასწავლებლები თუგინდ სახელმძღვანელოების არჩევაში, ან ვინ აჩენებს დღეს მათ ძალაუნებურად ამა თუ იმ სახელმძღვანელოს, ვინ ატანს ძალას შემოიღონ ესა თუ ის სახელმძღვანელო, ან როგორ სდევნიან ამისთვისაც ურჩს მასწავლებლებს? ზედგინიძეს და ჯაფარიძეს რომ ეთქვათ—დირექციამ მოიწონა და დაავალა მასწავლებლებს ჩვენი სახელმძღვანელოს შემოღებაო, ეს სინამდვილესთან უფრო ახლო იქნებოდა და უფრო დასაჯერებელიც. „პრესსაც თანაგრძნობით შეხვდაო“, ამბობენ და იმას კი არ იგონებენ თუ როგორ სინიდისიერად, სრულიად მიუკერძოებლად იყო გარჩეული ზედგინიძე-ჯაფარიძის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, მაგრამ ეს გარჩევა მათთვის ხელსაყრელი არ იყო და სრულიად მიუდგომელს შენიშვნას რად მოიგონებდნენ!!. მათთვის გამოსადეგი იყო მიკერძოებით დაწერილი, ნაცოდვილარი რეცენზია გაზეთ „კოლხიდაში“, იპოვეს დრო და ავტორიტეტად გამოიყენეს ვიღაც გადაგვარებული „პედაგოგის“ საცოდავი აზრები.

შემდეგ ბ. ბ. ზედგინიძე გვეუბნება: „ჩვენს სახელმძღვანელოს მტრულად დახვდა მხოლოდ ი. გოგებაშვილი და შეაჩვენა, მუნჯური მეთოდით არის შედგენილიო“ და სხ. განსვენებულს ი. გოგებაშვილის ზედგინიძისა და ჯაფარიძის სახელმძღვანელო არსად არ გაურჩევია, ხმაც არ ამოუღია ამის შესახებ პრესაში. მართალია ბოლოს დროს გაზეთ „კოლხიდაში“ ვიღაც ახირებულმა „პედაგოგმა“ უნდილის შენიშვნებით მოინდომა „რუსსკოე სლოვოს“ გაკიცხვა და იმავე დროს ზედგინიძე-ჯაფარიძის სახელმძღვანელოს ქებათა ქების შესხმა, მაგრამ ეს გამოწვევა გოგებაშვილისა იძულებითი იყო და ჯეროვანი პასუხიც გასცა მან მოპირდაპირეს. თუ განსვენებულმა გოგებაშვილმა ზედგინიძე - ჯაფარიძის სახელმძღვანელო მუნჯურ მეთოდზე აგებულად დასახა, განა ეს ტყუილია და არა სრული სიმართლე? მაშინ რეცენზენტი „პედაგოგი“ იმით ამართლებდა ზედგინიძე-ჯაფარიძეს, რომ ეს ავტორები სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში მშობლიური ენის დახმარებასაც აღიარებენ და მაშასადამე არც „მუნჯურ“ მეთოდს ემხრობიანო, მაგრამ ის ორიოდე სიტყვა, წინასიტყვაობაში ნახმარი და წიგნში გამოტოვებული ისე ჰქრებოდა, ვითარცა გაზაფხულის თოვლი. ამას საღის თვალით ხედავდა და კარგადაც გრძნობდა განსვენებული გოგებაშვილი, რომელიც ასეთს ლიტონს შენიშვნებს, თუ იგი თვით სახელმძღვანელოში არ იქნებოდა განხორციელებული, მნიშვნელობას არ აძლევდა. მართლაც შემდეგს გამოცემებში, როგორც ვხედავთ ეს უბრალო შენიშვნებიც გაქრა წინასიტყვაობიდან და მათი რჩევა დიდის დახმარების შესახებ ჰაერში გატყორცნილი უმნიშვნელო ხმა გამოდგა. თვითონ სახელმძღვანელოში რომელიმე სიტყვის ახსნის დროს ვერსად ვერ შეხვდებით კითხვას, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის უცხო სიტყვა დედაენაზე, უცხო სიტყვა უცხო სიტყვითვეა განმარტებული. ნუ თუ ყველა ამის შემდეგ ზედგინიძე და ჯაფარიძე უარს იტყვიან ჩვენ „მუნჯურს“ მეთოდს არ მივსდევთო. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, სწორედ ამაზე ნათქვამი.

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

15 ნოემბერი

უცხოეთი.

პეკინი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა რვა კაცი დანიშნა მართვა-გამგეობის ცენტრალურ საბჭოში, მათ შორის არის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ლიანდუნიენი და იუნანის ვიცე-კაროლად ნამყოფი პიჩინსი.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ხმები, ვითომც მეფე ფერდინანდმა ბრძანება მისცა გენერალ სავოვს თავს დასხმოდა სერბიის და საბერძნეთის ჯარებს და ვითომც სავოვის სამხედრო სასამართლოთი დასჯება ურჩობის გამოო, მტკნარი სიცრუეა.

ვენა ავსტრიის დელეგაციის საგარეო საქმეთა კომისიაში სიტყვა წარმოსთქვა სოციალ-დემოკრატმა ელენბოგენმა. მან დაჰგმო ბერტჰოლდის პოლიტიკა. მოლაპარაკის აზრით ალბანეთის ავტონომია დიდ საფრთხეს უმზადებს ავსტრიისა და იტალიის ურთიერთობას. ბარონ შვეგულეს აზრით, ავსტრიას სანჯაყი უნდა დაეჭირა; ამით ალბანეთის ავტონომიის შექმნა უფრო გაადვილდებაო. მოლაპარაკე ურჩევს მონარქიას მეგობრული კავშირი განამტკიცოს სერბიასთან. ორატორი მოითხოვს ბუქარესტის ხელშეკრულების გადათვალიერებას. გერმანელთა ეროვნულ კავშირის სახელით ლაგინგანი ლაპარაკობს; რადგანაც მონარქიის მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა დიპლომატიის უვარგის მოქმედებამო, სთქვა მოლაპარაკემ, გერმანიის ეროვნული კავშირს შეუძლებლად მიაჩნია გარეშე საქმეთა სამინისტროსთან მეგობრულ ურთიერთობის გაგრძელებაო. მოლაპარაკე გარეშე საქმეთა სამინისტროსადმი უკმაყოფილებას აცხადებს. იგი ეკითხება ბერტჰოლდს, თუ მართლა რუსეთთან კრიზისის დროს მეგობრული კავშირი არ შეწყვეტილაო, რით უნდა ავხსნათ რუსეთის საზღვრების გამაგრებაო. არც ის არის სარწმუნო, ვითომც ურთიერთობა რუსეთთან ომის შემდეგ გაუმჯობესებული იყვეს. ბალკანეთის კრიზისმა ავსტრიას ეკონომიური ზიანი მოუტანა იმ დროს, როდესაც რუსეთის მრეწველობა კი წინსვლის გზაზე დააყენაო.

ათინა. დეპუტატთა პალატამ მესამე წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ მიიღო ოსმალეთ-საბერძნეთის ხელშეკრულება.

ტოკიო. მექსიკის პრეზიდენტმა ჰუერტამ დიდი პატივისცემით მიიღო იაპონელი პროფესორი სუერურო და აღუთქვა, რომ იაპონელ ემიგრანტებს მექსიკაში ყოველმხრივ დაეხმარებიანო.

რომი. ახალი პარლამენტის სხდომები მეფის სეფე სიტყვით დაიწყო. მეფე მიესალმა ხალხის წარმომადგენლებს, რომელნიც პირველად არიან არჩეულნი საყოველთაო საარჩევნო უფლებით; იმედი გამოსთქვა, რომ იტალია ეხლა უფრო მტკიცე ნაბიჯით ივლის წინსვლის გზაზეო. საყოველთაო საარჩევნო უფლების განსახორციელებლად საჭიროა კანონმდებლობა, რომელიც სათანადო სიმაღლეზე დააყენებს მცხოვრებთა გონებრივ და ზნეობრივ ძალებს; საჭიროა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიური წარმატება. აუცილებლივი ვალდებულებაა შემუშავდეს სოციალური სრული კანონმდებლობა, განვითარდეს შრომის პოლიტიკა მუშათა სასარგებლოდ. ამასთანავე ერთად უნდა შემუშავდეს სამოქალაქო კოდექსის რეფორმა. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე მეფემ სთქვა: მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოების თავისუფლება შეუზღუდველია, სახელმწიფო არ მისცემს ეკლესიას თავის მოქმედებაში ჩარევის უფლებას. სახელმწიფოს სუვერენიტეტი შეუზღუდველი უნდა იყოს. საგარეო პოლიტიკის შესახებ მეფემ აღნიშნა: იტალიის მეგობრული კავშირი არ დაურღვევია არც ერთ მოკავშირესთან და ამასთანავე ერ-

---

არ შეეფერება ეროვნული საკითხის რეალურ განვითარებას. „ნაციონალური საკითხი, როგორც ვსთქვით, პოლიტიკური საკითხია,—სწერს ბ-ნი ნარიძე.—მისი წამოყენება, მაშასადამე, დამოკიდებულია ერთი მხრით ნაციის ნაწილთან და მეორე მხრით ამ ნაწილთა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. **თუ ერი ჩვილი და განუვითარებელია, თუ მას არა ჰყავს საკმაოდ მომწიფებული და ნაციონალური შევიწროვების გრძნობიარე კლასები, ცხადია ის ვერავითარ ნაციონალურ მოთხოვნილებას ვერ წამოაყენებს.** (ხაზი ჩვენია, ა. ჯ.) აგრეთვე, თუ სახელმწიფო სათუთად ეპყრობა ნაციის თვისებებს და თავ-მოყვარეობას, თუ მისი მოქმედება პირდაპირ არ ეჯახება სხვა ნაციის ინტერესებს, განსაკუთრებით კი დაბალ ხალხთან მისი კავშირი წარმოებს ადგილობრივი ძალებით, მაშინ სახელმწიფოს ნაციონალური უღელი საგრძნობი არ არის დიდი უმრავლესობისთვის და ამიტომ ნაციონალურ საკითხს ნიადაგი არა აქვს“. ცოტა ქვევით ბ-ნი ნარიძე სწერს: „**ერთის სიტყვით, ნაციონალური საკითხის წამოყენება დამოკიდებულია ნაციის ნაწილთა სურვილსა და მოქმედებაზე**“.

ზევით ამოწერილ სტრიქონებიდან ორი რამ ირკვევა: პირველი ის, რომ „ჩვილი და განუვითარებელი“ ერი ეროვნულ ჩაგვრას არ განიცდის და, მეორე, რომ ეროვნული საკითხის წამოყენება თვით ერის **სურვილზეა** დამოკიდებული. ამ ორ მომენტთა შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. შეუძლებელია დაიბადოს **სურვილი** ეროვნული თავის დაცვისა, თუ არ არსებობს **შეგნება** ეროვნული ინტერესებისა და, პირიქით, უსათუოდ დაიბადება სურვილი, თუ არსებობს შეგნება. თუ ჩვენს ისტორიაში ყოფილა ისეთი დრო, როდესაც ერი თავის ეროვნულ ინტერესებს გულ-გრილად იცავდა და თვით საკითხსაც კი არა ჰგრძნობდა, ეს, ბ-ნ ნარიძის ლოღიკით, უნდა იმას ამტკიცებდეს, რომ ქართველი ხალხი „ჩვილი და განუვითარებელი“ ყოფილა.

საყურადღებოა ზემოდ ამოწერილ ციტატის ის ნაწილიც, სადაც ბ-ნი ნარიძე ამბობს, თუ სახელმწიფო სათუთად ეპყრობა ნაციის თვისებებს, თუ მისი მოქმედება პირდაპირ არ ეჯახება სხვა ნაციის თვისებებს, განსაკუთრებით კი დაბალ ხალხთან მისი კავშირი სწარმოებს ადგილობრივი ძალებით, მაშინ სახელმწიფოს ნაციონალური ადვილი საგრძნობი არ არის დიდი უმრავლესობისთვის და ამიტომ ნაციონალურ საკითხს ნიადაგი არა აქვსო.

ესეც სრული ჭეშმარიტებაა, თუ ერი იმდენად დაბლა სდგას კულტურულად, რომ წერა-კითხვის ცოდნის სურვილიც არა აქვს, თუ იგი პირუტყვულ ცხოვრებითა სცხოვრობს, მაშინ ქართული ენის შევიწროვებას სკოლებში იგი ვერ იგრძნობს. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს თვით საკითხიც არ არსებობდეს, როგორც ამას ბ-ნი ნარიძე ბძანებს. საქართველოს მცხოვრებთა ერთი წრე რომ ასეთს მდგომარეობაში იყოს, მეორე შესაძლებელია უკვე მიღწეული იყოს კულტურის იმ საფეხურამდე, როდესაც ეროვნული ენის ჩაგვრა საგრძნობი ხდება. ესევე შეიძლება ითქვას ეროვნული ცხოვრების სხვა მოვლენათა შესახებ. ჩაგვრას ყველა ერთნაირად ვერ განიცდის. ერთი მოვლენას განიცდის ისე, როგორც პირდაპირ ევლინება, მეორე ჰხედავს ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს, ჰხედავს, რა ჰბადებს ჩაგვრას. ცხადია ჩაგვრის შეგნება და განცდა ერთნაირის ინტენსივობისა არ იქნება პირველსა და მეორე შემთხვევაში. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს თვით ჩაგვრა ერთს შემთხვევაში უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე მეორე შემთხვევაში. როგორ უნდა მოიქცეს პუბლიცისტი ან მომქმედი პოლიტიკური ჯგუფი, როდესაც ასეთს მოვლენების განხილვასა და დაფასების შეუდგება? დღემდის ჩვენებური დასელების ტაქტიკა ასეთი იყო: ხალხის უმრავლესობა ეროვნულ ჩაგვრას ვერა გრძნობს, მაშასადამე, არც ეროვნული საკითხი არსებობს; რახან არ არსებობს ეროვნული საკითხი, კონკრეტული ეროვნული პროგრამაც საჭირო არ არის. დასელთა პუბლიცისტიკა თავის მსჯელობის თვალსაზრისად აღიარებდა არა გონებით მიწდომილ ფაქტს, რომ ეროვნული ჩაგვრა არსებობს, არამედ ფართო მასის „შეუგნებლობას“. ამ რიგად, დასელები წინ კი არ უძღოდნენ ხალხს ეროვნული საკითხის გამორკვევაში, უკან მისჩანჩალებდნენ. როგორც ბ-ნი ნარიძეც აღნიშნავს, შესაძლებელია სახელმწიფოში ასეთი მდგომარეობა დამყარდეს, რომ ნაციონარური უღელი „დიდი უმრავლესობისთვის“ საგრძნობი არ იყოს. ასეთი შემთხვევებიც არის. სხვა და სხვა რეფორმებით ან ცოტად თუ ბევრად ლმობიერ პოლიტიკის ზედ გავლენით შესაძლებელია ერი ისეთს მდგომარეობაში ჩადგეს, რომ ეროვნული შევიწროვება დიდის უმრავლესობისთვის, მართლაც, საგრძნობი არ იყოს. განა ეს საბუთს მოგვცემს ვიფიქროთ, რომ ეროვნული შევიწროვება მოისპო? ან განა ეს ნებას მოგვცემს ვაღიაროთ, ეროვნული საკითხი აღარ არსებობსო? ცხადია არა. პუბლიცისტიკა თუ მხოლოდ იმას დაემყარა, რასაც უმრავლესობა „ჰგრძნობს“ და არ შეცადა გონებით შემთვისებული გზის ჩვეხებას, თავის დანიშნულებას ვერასოდეს ვერ გაამართლებს.

რა იქნებოდა, სხვა საჭირ-ბოროტო საკითხების გამორკვევის დროსაც რომ ასე მოქცეულიყვნენ? ბ-ნ ნარიძის ამ მოსაზრებას იმიტომ მივაქციეთ ყურადღება, რომ იგი საუკეთესო მსჯავრია დასელთა წარსული მოქმედებისა და დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბ-ნი ნარიძე არსებითად დღესაც იმავ ნიადგზე სდგას. გამოიცვალა მხოლოდ ტერმინოლოგია. დღესაც იგი კუდში მისდევს ცხოვრებას და ადასტურებს მხოლოდ მომხდარ ფაქტს. არ არსებობს ეროვნული საკითხი, იგი ნაციონალისტებისა და შოვინისტების მიერ მოგონილი ქორიაო, ამბობდნენ დასელები. დღეს, როდესაც თვით ცხოვრებამ დაუმტკიცა მათ, რომ ეროვნული საკითხი არამც თუ არსებობს, ძალიან გამწვავებულიც არის, გვეუბნებიან, ეროვნულ საკითხს ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ მას სხვანაირადა ვსწყვეტავთო. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს იმისას, რომ დაჯგება დრო, როდესაც დასელები იძულებთლი გაჰხდებიან ქედი მოიხარონ ულმობელ სინამდვილის წინაშე და აღიარონ ის, რასაც გათვითცნობიერებული ხალხი მოითხოვს. გვწამს ეს ასე იქნება, მაგრამ დასელებს რა? ისტორია მხოლოდ მათს სიჯიუტესა და ფანატიკოსობს დაიხსომებს. შთამომავლობა დაინახავს მხოლოდ იმას, რომ დასელები ყოველ წუთს ეურჩებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას და დღითი-დღე ჰკარგავდნენ ერთხელ შეცდომით დაჭერილ თეორეტიულ პოზიციებს.

არ. ჯ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

თად ბალკანეთის კრიზის დაცხრომას ხელი შეუწყო. დიდ სახელმწიფოთა სურვილი საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისა დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ცივილიზაციის და მშვიდობიანობის საქმეში. დიდ სახელმწიფოთა კავშირნი და შეთანხმებანი ძალთა განწყობილების თანაბრობას იცავენ და მშვიდობიანობას უზრუნველ-ჰყოფენ. იტალიამაც სწორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი. ეხლანდელი პარლამენტი იწყებს ახალ ისტორიულ ხანას. ხმელთა შუა ზღვის იქითა სანაპიროების დაპყრობა მოუწოდებს იტალიას წინსვლისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტისაკენ.

მეფე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

ელფერთლი. 3.000 მუშა გაიფიცა

სტამბოლი. გაზეთი „ტანინი“ სწერს: ოსმალეთი ევროპის კანტროლს ანატოლიაში რეფორმების განხორციელების საქმეში მონაწილეობისთვის ვერ მიიღებსო; თუ ევროპა შეთანხმდა, მაშინ მას ძალის ხმარება დასჭირდება ამ საქმის განხორციელებისთვისაო.

ლონდონი. გაზეთებში იბეჭდება სამხრეთ ირლანდიის სამანუფაქტურო და სამრეწველო ფირმების წარმომადგენელთა პროტესტები ჰომრულის კანონის წინააღმდეგ, პროტესტანტების აზრით ჰომრული სულ მთლად ქვეყნის მრეწველობას გაჩანაგებსო.

ვენა. ფერდინანდ მეფე 15 ნოემბერს სოფიაში მიემგზავრება.

ბერლინი. როგორც სარწმუნო წყაროები იტყობინებიან დიდი სახელმწიფონი საბოლოოდ გამოსთქვამენ სურვილს ალბანეთის ტახტზე აიყვანონ პრინცი ვიდი. პრინცი ვიდი ამ ჟამად გერმანიაში იმყოფება.

დურბანი. ბლეკბერნში მკვიდრ მცხოვრებთა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 5 მცხოვრები.

ფერთლი. მუშათა სინდიკატებმა გადასწყვიტეს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ.

ბარსელონა. სტუდენტებმა გაფიცვა გადასწყვიტეს.

ვენა. უნგრეთის იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოთქმულ სიტყვის თაობაზე გაზეთი „ვინ“-ი სწერს: რუსოფილების პროპაგანდა უფრო საშიშია ჩრდილო-სამხრეთის გალიციაში, ვიდრე უნგრეთში. ის გარემოება, რომ მოძრაობა გალიციიდან უნგრეთშიაც გადმოვიდა, მოძრაობის სიძლიერეს ჰნიშნავს. ამ ამბავს დიდი ვნების მოტანა შეუძლიან, თუ ვინიცობაა რუსეთსა და ავსტრიის შორის ომი ასტყდა.

გრაცი. იტალიელთა უნივერსიტეტის გახსნის საკითხის გამო გერმანელ და იტალიელ სტუდენტთა შორის შეტაკება მოხდა. დაჭრილია 19 სტუდენტი, ზოგიერთნი მძიმედ არიან დაჭრილნი. რამდენიმე კაცი შეიპყრეს.

პარიზი. დეპუტატთა პალატა შეუდგა სესხის კანონ-პროექტის განხილვას. ჟორესმა წინადადება შეიტანა განხილვა სხვა დროსთვის გადაიდოს. თავის მოსაზრებაა ჟორესმა დაასაბუთა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბარტუმ ჟორესის წინააღმდეგ გაილაშქრა.

პალატამ ხმის უმეტესობით უარჰყო ჟორესის წინადადება.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის საგარეო საქმეთა კომისიამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა უცვლელად მიიღო.

რუსეთი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ სათათბიროში წარსადგენად სენატის დეპარტამენტში საქმეთა წარმოების წეს-რიგის შეცვლის კანონ-პროექტი მოიწონა. განზრახულია სენატორთა რიცხვის გადიდება და მესამე დეპარტამენტის დაარსება, რომელსაც საფინანსო და საკანტროლო საქმენი დაექვემდებარება.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ პირველ-დაწყებითი განათლების საჭიროებისათვის სათათბიროში წარსადგენად 9 მილიონ მანეთის გადების პროექტი მოიწონა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონმა გიგო ნიკოლოზის ძე დიდიამ შემოსწირა ქვიანის (გურიაში) სამეურნეო სასწავლებლს ასი ლამფა, ღირებული 25 მანეთად. მთელი სოფელი გულწრფელ მადლობას უძღვნის შემომწირველს.

სოფლის მინდობილობით მღ. **თეოფანე კალანდარაშვილი.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი**

სპერმინი

სპერმინ-პელი ერთად-ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ჰნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, ქლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის (ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს: სპერმინ-პელია, და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც **სპერმინ-პელისთან** არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **სპერმინ-პელი ყველგან იშოვება.**

პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.
Метцль. 111309. 1443

ავადმყოფებს!

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მურინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.**

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასიის“ ნომრები იყო, გაიღო
საოჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ცოლი და ქმარი
ვეძებთ მოსამსახურის ადგილს:
სკოლებში, აფთიაქში, სამკურნალოში, ან სხვაგან. მისამართი: „სახალხო გაზეთის“ კანტორა. 810

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **მ. [illegible]** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. [illegible]** (ლოლაძე, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ს. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის, 10. ტელ. 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—10 **გ. ო. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, რომ მცხოვრებლები და [illegible] სასანიტარო წესიერების [illegible] და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არ იცავენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადების ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სანიტარო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახვლედის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ.	3 მ.
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა —	1 მ.
„ ბროსესი, 1-ლი,	70 კ.
„ „ „ II—	70 კ.
ჯანაშვილი მოს. აღვიდგინე, ანუ „სამი ისტორიული ქრონიკა და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ სახელმძღვანელო — — —	30 კ.
— ნაშრომი 1-ლი — — —	20 „
— „ მე-2 ე — —	20 „
— „ მე-3-ე — —	20 „
— საქართველოს ისტორია —	1 მ.
— მეფე ერეკლე — — —	10 „
— უკვდავთა ღიდიდებანი —	10 „
— ფირსადან გორგიჯანის ძე და მისი შრომანი — — —	40 „
— ქართული მწერლობა — —	80 „
ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — —	80 „
— საქართ. ეკონომიური ისტორია	40 „
— საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — —	15 „
ახლად მიღებული წიგნები:	
ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასი — —	2 მან.
გენეოლოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — —	30 კ.
თაყაიშვილი ექვ. Археологическія экскурсіи, вып. 4 — —	75 к.
ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილისა	30 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917



ნამდვილი მწერავი მანქანა
25 მან. ნაცვლად, მხოლოდ 4 მან. 95 კ.-ად.
უკანასკნელი ახალი ამბავი
სასწაული XX საუკუნის

ტექნიკის განვითარების წყალობით მოსახერხებელი გახდა ისეთ საწერ მანქანის გამოგონება, რომელსაც უბრალო ანბანის მცოდნეც კი პირველის ცდისათანავე გამოიყენებს. **ასოები გამოდის სრულიად ნათლად და უშეცდომოდ.** ვინც კი მიიღებს მანქანას „TAURU“ უეჭველია მუდმივი მადლიერი იქნება ჩემი. „TAURU“ ყველასათვის საჭიროა და გამოსადეგი. „TAURU“-თ დაიბეჭდება ბლანკები და სხვა. გთხოვთ ამ მანქანას სერიოზულად მოეკიდნენ, როგორც ნამდვილ, ცხოვრებაში გამოსაყენებელ და სასარგებლო ნივთს. თუ მანქანა არ მოგეწონებათ, **ფულს უკანვე გაახლებთ.** შეკვეთის დროს, გთხოვთ, გვაუწყოთ, თუ რომელ ენაზე გსურთ მანქანით წერა. ფასი მხოლოდ 4 მან. 95 კ., გასაგზავნი 40 კ. (ციმბირში—75 კ.). ვგზავნით ფასდადებით.

И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная № 13. отд. 14.
მეტცლ. 11147. 1064

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

„გამოცემა სორაპნისა“
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული
კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 40 კაპ.
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.
სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ
—◆ ფასი 20 კაპ. ◆—
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“
1592.

დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად
ახალი გამოცემა
„ვეფხის ტყაოსნისა“
სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.

ტექსტი იმ გვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ 1,500 ტაეპოვანი „ვეფხვის ტყაოსანი“ გარდაიქცა 2,400 ტაეპოვნად. თოთხმეტი რედაქცია სათითაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხის ტყაოსანი“ და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხის ტყაოსანის“ უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული იქნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება სამი მანეთი. **ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ეღირება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ნაღდად არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაუჯდება 1 მან. 75 კაპ.** წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისში აგენტობა მინდობილი აქვს სპირიდონ ფიცხელაურს. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:
Тифлисъ, Высшіе Женскіе Курсы. Сергѣю Нестеровичу Какабадзе. 1593

—◆ **გამოსულია და იყიდება** ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით ქიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგილები და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.
1560

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
გრამო-ფონებს
„იაკორ“-ს
ჰყიდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა
შეიძლება.
გოლოვინის პროსპექ., № 6, საკრებულოს ქვეშ.
1531

განცხადება.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის

გამგეობა

ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით აცხადებს, რომ ბანკის სადგომში, ტფილისს (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, № 11), **საჯაროდ გაიყიდება** ქვემოდ აღნიშნული პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27, 28 და 35 §-ით დაწესებული გადასახადები 1913 წლის 1 ივლისიდან 1914 წლის 1 იანვრამდე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, რომელიც ქალაქ ტფილისშია და რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული ამა წლის **16 დეკემბერს 1913 წელს;** 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრეთვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები გირავდება გრძელ-ვადიან სესხით, როგორც ქალაქის მამულები **18 დეკემბერს, 1913 წელს;** 3) სოფლის მამულებისა, რომელზედაც გაცემულია როგორც გრძელ-ვადიანი, ისე მოკლე ვადიანი სესხი და აგრეთვე ქალაქის მამულების—**20 დეკემბერს, 1913 წ.**

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 § ის ძალით მოხდება იმავე გამგეობაში **8 იანვარს 1914 წელს,** ვაჭრობა ბანკის წესდების მე-17 § ის ძალით დაიწყება თავნი ვალის იმ დარჩენილ თანხიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული, ბანკის დარჩენილი გადასახადისა და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადებისა და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც ჰსურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე ის მოკლე-ვადიანი სესხიანი მამულები, რომლის ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე, ბე იმდენი უნდა იქმნას, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკაა, აგრეთვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე, ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნი ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბე, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ 10 პროცენტი თავდაპირველის თავნი ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედმეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, აგრეთვე იმ მამულებზე, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულა, მყიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებით; ხოლო იმ მამულებისა, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გათავდა, დანარჩენი თავნი ვალი სრულიად უნდა იქმნას გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების 15 პარაგრაფის ძალით პატრონს შეუძლიან შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დაწყებამდე და ამრიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს ყველა საქმე სასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. ამასთანავე ბანკის გამგეობა წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.